სამხრეთ კავკასიის მე-11 მედია კონფერენცია
საზოგადოებრივი მაუწყებლობა ციფრულ ეპოქაში

10-11 ნოემბერი, 2014, თბილისი, საქართველო

რეკომენდაციები

წინამდებარე დოკუმენტში მოკლედ არის წარმოდგენილი რეკომენდაციები, რომლებიც შემუშავდა 2014 წლის 10-11 ნოემბერს თბილისში (საქართველო) მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის მიერ ორგანიზებული სამხრეთ კავკასიის ყოველწლიურ მე-11 მედია კონფერენციაზე 70-ზე მეტ სომეხ, აზერბაიჯანელ და ქართველ ჟურნალისტთან, ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან დისკუსიების დროს უკრაინის, ყირგიზეთის, მოლდოვისა და ყაზახეთის წარმომადგენლებისა და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

კონფერენცია მიეძღვნა საზოგადოებრივი მაუწყებლობის ღირებულებების, შინაარსის, დაფინანსების, მენეჯმენტის, რეგულირებისა და მართვის საკითხების განხილვას ახალი მედია ტექნოლოგიების კონტექსტში.

კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ

- საზოგადოებრივი მაუწყებლები უნდა ემსახურებოდნენ მოქალაქეებს და არა ხელისუფლებასა თუ პოლიტიკურ ძალას ან კომერციულ თუ სხვა სახის ინტერესებს.

- საზოგადოებრივი მაუწყებლები თავიანთ საქმიანობაში ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდნენ სიზუსტის, ობიექტურობის, ბალანსის, ანგარიშვალდებულებისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპებით.

- საზოგადოებრივმა მაუწყებლებმა ყველა ღონეს უნდა მიმართონ, რომ წარმოადგენდნენ ინფორმაციის უმნიშვნელოვანეს და სანდო წყაროს ყველა მედია პლატფორმისათვის.

- საზოგადოებრივმა მაუწყებლებმა უნდა განავრცონ თავიანთი პროგრამები კომუნიკაციის ყველა შესაძლო (სატელიტური, ინტერნეტის, საკაბელო და

მიწისზედა) საშუალებისა და ქსელის მეშვეობით, რათა უზრუნველყონ ფართო დაფარვა.

- საზოგადოებრივმა მაუწყებლებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ყველა სამაუწყებლო პლატფორმის ციფრულ საეთერო პლატფორმაში კონვერგენცია, როგორც ახალი შესაძლებლობა მედია პლურალიზმის განსამტკიცებლად.

- მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ დებულებები კანონმდებლობასა და რეგულაციებში საზოგადოებრივი მაუწყებლების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ხელშესაწყობად.

- ინტერნეტი და სხვა პლატფორმები მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის ტრადიციულ პროგრამებზე ხელმისაწვდომობას კი არ უნდა უზრუნველყოფდეს, არამედ ასევე წარმოადგენდეს ახალი შინაარსის (კონტენტის) მომსახურებას.

- ინტერნეტი და სოციალური მედია გამოყენებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი მაუწყებლების მიერ უკუკავშირის მიღებისა და აუდიტორიასთან დიალოგისა და დებატების ხელშესაწყობად.

- საზოგადოებრივი მაუწყებლები მიზნად უნდა ისახავდნენ აუდიტორიის საჭიროებებისა და კმაყოფილების დონის განსაზღვრას საზოგადოების ყველა სეგმენტის გათვალისწინებით.

- საჯარო მაუწყებლებმა დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ ადგილობრივ და საკუთარი წარმოების შინაარსს (კონტენტს), ისევე როგორც ყველა სოციალურ ჯგუფზე გათვლილი პროგრამების მრავალფეროვნებას, რათა ასახონ აუდიტორიის კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნება.

- მრავალეთნიკურ და მრავალეროვნულ ქვეყნებში პროგრამები უნდა შეიქმნას რამდენიმე ენაზე და საზოგადოებრივი მაუწყებლები ახორციელებდნენ მრავალეთნიკური დასაქმების პოლიტიკას.

- საზოგადოებრივი მაუწყებლობით ახალგაზრდა აუდიტორიის დაინტერესებისა და ჩართულობისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური პროგრამები ინტერნეტში გასავრცელებლად.

- საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსება უნდა იყოს საკმარისი, გარანტირებული, გამჭვირვალე და განჭვრეტადი საშუალოვადიან პერსპექტივაში და უზრუნველყოფდეს დამოუკიდებლობას პოლიტიკური და კომერციული ინტერესებისა და ზეწოლისაგან.

- აუდიოვიზუალური მედიის სფეროში მზარდი კონკურენციის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მაუწყებლები უნდა ითვისებდნენ ახალ ტექნოლოგიებს ფართო დაფარვის უზრუნველსაყოფად.

- საზოგადოებრივი მაუწყებლების სამეურვეო საბჭოებისა და მარეგულირებელი ორგანოების წევრთა დანიშვნისა თუ არჩევის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და წარმოადგენდეს საზოგადოების ფართო სპექტრს.

- სარედაქციო და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სათანადოდ უნდა იყოს დაცული საზოგადოებრივი მაუწყებლების მთლიანობა.

- საზოგადოებრივი კონტროლის მიზნით საზოგადოებრივი მაუწყებლების ყველა საბუთი, პოლიტიკის დოკუმენტი, გადაწყვეტილება და რეკომენდაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინტერნეტში. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საზოგადოებასთან ურთიერთქმედების სისტემა. იგი უნდა მოიცავდეს მაუწყებლის სტრუქტურის ფარგლებში თვითრეგულირების ეფექტიან მექანიზმს, მათ შორის, სახალხო დამცველს ან მსგავს ინსტიტუტს, რომელსაც ექნება საჩივრების მიღების, სათანადო რეაგირების და რეკომენდაციების წარდგენისა და კონფლიქტურ სიტუაციებში კომპენსაციის მიღწევის შესაძლებლობა.